# ავტობიოგრაფია

დავიბადე 1959 წლის 11 ივლისს წითელწყაროს (ახლანდელი დედოფლისწყაროს) რაიონის სოფელ ზემო ქედში. 1976 წელს დავამთავრე ზემო ქედის საშუალო სკოლა.

1976 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დავამთავრე 1984 წელს.

1984 წლის ოქტომბრიდან მუშაობა დავიწყე წითელწყაროს რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში ადვოკატად, სადაც ვიმუშავე 1993 წლის ივლისამდე.

1993 წლის ივლისში დავინიშნე დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოში ადმინისტრაციულ და სააღსრულებო წარმოების მოსამართლედ, სადაც ვიმუშავე 1999 წლის 24 მაისამდე. სასამართლო სისტემაში განხორციელებული რეფორმის შედეგად აღნიშნული შტატი იქნა გაუქმებული.

1998 წლის ოქტომბერში ჩავაბარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა და 1999 წლის 5 ოქტომბერს 10 წლის ვადით დავინიშნე ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, საიდანაც გავთავისუფლდი 2004 წლის 15 დეკემბერს თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ გამწესებასთან დაკავშირებით.

2004 წლის 15 დეკემბერს დავინიშნე 10 წლის ვადით თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ, ხოლო 2005 წლის 31 ოქტომბრიდან დამეკისრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შესრულება, ჩემივე უფლებამოსილების ვადით.

2014 წლის 15 დეკემბერს ამომეწურა მოსამართლის 10 წლიანი უფლებამოსილების ვადა, რომელიც გაგრძელებული იქნა ჩემი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

2015 წლის 1 მაისს გავწესდი მოსამართლედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით. 2018 წლის მაისსში დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლედ უვადოდ, სადაც ვმუშაობ დღესაც.

მყავს მეუღლე და შვილი.

/მანანა ჩოხელი/

31.05.2019 წელი